დიდი შესაძლებლობა, დიდი პერსპექტივები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი შვილია. მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების მეოხებითა და პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობით გახდა შესაძლებელი როგორც თვით უნივერსიტეტის არსებობა, ისე მისი ნამდვილი მკვეთრი ზრდა ასე მოკლე დროის განმავლობაში. დღეს თბილისის უნივერსიტეტს წამყვანი მდგომარეობა უკავია საქართველოს სსრ ორ ათეულ უმაღლეს სასწავლებელთა შორის, ხოლო საპატიო ადგილი—სსრ კავშირის საუკეთესო უნივერსიტეტთა შორის.

რუსეთის თვითმპყრობელობა, რომლის მიზანიც მის მიერ დაპყრობილი ერების რუსიფიკაცია იყო, მშობლიურ ენაზე დაწყებითი განათლების მიღების ნებასაც კი არ იძლეოდა, არამც თუ უმაღლესისას. სახარბიელო არ ყოფილა თბილისის უნივერსიტეტის ხვედრი მენშევიკურ საქართველოში. პროფესორები მშიერ ულუფაზე ისხდნენ, სტუდენტების მატერიალურ უზრუნველყოფაზე სტიპენდიებით, საერთო საცხოვრებლებით და სახელმძღვანელოებით შეუძლებელი იყო ოცნება. უნივერსიტეტის შენობა გაუთბობელი და გაუნათებელი რჩებოდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა და პროფესორთა მშობლიური ხალხისა და მეცნიერების ღრმა სიყვარულმა გახადა შესაძლებელი უნივერსიტეტის არსებობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. აქედან კი იწყება უნივერსიტეტის განვითარება მანამდე არნახული ტემპებითა და მოცულობით. იზრდება მეცნიერთა კადრები, იზრდება სტუდენტთა რიცხვი, უნივერსიტეტის ცალკე ფაკულტეტებისაგან იქმნებიან ცალკე უმაღლესი სასწავლებლები (სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ინდუსტრიული, პედაგოგიური (ქუთაისში - და სხვ. ინსტიტუტები). 1930 წელს უნივერსიტეტი დაიყო ცალკე ინსტიტუტებად, ხოლო 1933 წლის იანვრიდან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლ. პ. ბერიას ინიციატივით იგი კელავ აღდგენილ იქნა ახალ საფუძველზე- და საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირადად ამხანაგი ლ. პ. ბერიას ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით ვითარდება და იქცევა მძლავრ სამეცნიერო ორგანიზაციად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღის დამთხვევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სასიხარულო დღეებთან იმის მაჩვენებელია, რომ უნივერსიტეტის წარმატებანი არის ორგანიული ნაწილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საერთო მიღწევებისა!

პროფ. ს. ჯანაშია